პატ. მასწ.

/გასული საუკუნის 90-იანი წლების გათოშილი და ჩაბნელებული საქართველო/

- დასხედით, ბავშვებო! ნიკა ისევ იგვიანებს? არც სესილია კლასში, რაშია საქმე?
- ცივა, ყინავს! — დაიწუწუნა სანდრომ — ცაც ისეთი გაცრეცილია, თითქოს უნდა გათენდეს, არადა ისე დაბინდდება, გათენებას ვერ მოვესწრებით. შუქიც არ არის.
- ნინო მასწ., აი, მე უკვე მოვედი. წიგნები მოვიტანე ფეჩში შესანთებად, — ნიკამ საკლასო ოთახის კარი ფართოდ გააღო და წიგნები შემოზიდა.
- წიგნების დაწვა? თანაც სკოლაში? ვერაფერი სიკეთეა.
- გუშინ ოჯახური ბიბლიოთეკა გადავარჩიეთ. ნახეთ, რა აღმოვაჩინეთ?! ლენინის ტომები, ისტმატი, პარტისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, თან რა სქელი წიგნებია, მამამ მომატანინა. ახლავე შევუნთებ.
- მაინც უსიამო გრძნობაა.
- ნინო. მასწ., ვინღა წაიკითხავს ამ წიგნებს, იმდენი საინტერესო რამ არის წასაკითხი, — თქვა ნიკამ და დატრიალდა.
შეარჩია სქელი წიგნები და ღუმელს შეუნთო. აგიზგიზდა ლენინის ტომები და საკლასო ოთახში დათბა.
- ძია ლენინმა გაგვათბო! — იყვირა ნანიკომ და კლასმა ერთხმად გაიცინა.
ამ დროს სესილიმ შემოჰყო თავი და აციმციმებული ფირუზისფერი თვალებით მოათვალიერა კლასი.
- პატ. მასწ., მეც მოვედი. სამი ძველი, დამტვრეული სკამი მოვიტანეთ მე და დედამ. დალეწილია, ვერ შეკეთდება.
სამაგიეროდ აქ გამოგვადგება, თბილად ვიქნებით.
- კარგი, შემოდი.
- იცით, ნინო მასწ?! მამაჩემი ჰოლანდიაში იყო და გაოცებული ჩამოვიდა,
იქ უკვე ენერგოეფექტურობაზე, განახლებად ენერგიებზე მუშაობენ, ცდილობენ ნავთობის, ქვანახშირის და გაზის გამოყენება შეზღუდონ და ასე ჰაერის დაბინძურება შეამცირონ. ჩვენ კი პირველყოფილი ადამიანებივით ვცხოვრობთ, — თქვა ანასტასიამ.
- რატომ? ჩვენც ხომ ალტერნატიული გზები ვიპოვეთ და ვთბებით, — იცელქა ნიკამ — ყველაფერი გენიალური სადა და მარტივია, წყლის და ქარის წისქვილები შეცვალეს, გაართულეს, ახლა კი პირიქით ქარის ელექტროსადგურებს დგამენ.
- ეს ძალიან საინტერესო თემაა.
- დიახ, პატ. მასწ., ძალიან საინტერესოა.
- შეიძლება, მეც ვიტყვი?
- თქვი, საბა!
- ჩვენ ისეთი მწარე გამოცდილება მივიღეთ გათბობის და სინათლის გარეშე ცხოვრებით, რომ მე მთელი კლასის წინაშე პირობას ვდებ, სკოლას რომ დავამთავრებ, ვისწავლი და შემდეგ მთელი მონდომებით ვიმუშავებ იმისთვის, რომ წყლის, მზის, ქარის და ბიოლოგიური მასალის გამოყენებით გავნათდეთ და გავთბეთ. მანქანის ალტერნატიულ საწვავზეც ვიზრუნებ. საქართველო ხომ ასე მდიდარია მდინარეებით, მზის ენერგიით, არც ქარი და ნიავი გვაკლია და ბიოლოგიური მასალაც ბლომად გვაქვს. ხომ უნდა გამოვიყენოთ?
- გესმით, ბავშვებო?! დავიმახსოვროთ საბას დაპირება.
- ვიმახსოვრებთ! — წამოიძახეს ერთხმად.
საბამ თავი დაუკრათ და ზარიც დაირეკა. პირველი გაკვეთილი დამთავრდა.